ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი

25 მარტი 2015 წელი

ქ.ვანი

ჩვენ, ერთის მხრივ ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 6 თებერვლის №20 116 "სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების და გაწეული მომსახურების მიღების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ" ბრძანების საფუძველზე მოქმედი კომისია, შემადგენლობით: ლაშა გიორგაძე -მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. მინდია ტაბიძე-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი,კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. გიორგი ნამიჭეიშვილი-გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,კომისიის წევრი. ბესარიონ ახვლედიანი- გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,კომისიის წევრი. თეიმურაზ სოხანეიშვილი-გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის დროებით მ/შემსრულებელი,კომისიის წევრი.ალექსანდრე ქაჯაია- გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი,კომისიის წევრი. დაზმირ გოგორიშვილი-გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი,კომისიის წევრი და მეორეს მხრივ შპს "ჯეო როუდი" (ს/კ 202254982) დირექტორის ვალერი სამხარაძის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

მხარეებმა მოვახდინეთ შპს "ჯეო როუდ"-ის მიერ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან 2015 წლის 11 თებერვალს გაფორმებული №28 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების– ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით.

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მიღებულ იქნას წმინდა ნინოს ქუჩაზე გარე განათების 20 სანათის მოწყობის, 29 მაისის ქუჩის პირველ შესახვევში 10 სანათის მოწყობის, ჩახუნაშვილის ქუჩაზე გარე განათების 10 სანათის მოწყობის, სალხინოს თემში გარე განათების 10 ერთეულის მოწყობის (ე.წ. საკონსერვოს უბნიდან). სალხინო-დიხაშხოს თემების საზღვრის მიმდებარე საავტომობილო გზაზე გარე განათების 14 ერთეულის მოწყობის, სალხინოს თემში საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან დიხაშხოს მიმართულებით გარე განათების 12 ერთეულის მოწყობის, ქ.ვანში გიორგაძის ქუჩაზე გარე განათების 14 სანათის მოწყობა, მეორე ეტაპი (არსებულზე დამატება).ქ.ვანში რუსთაველის ქუჩის 1-2-3-4 ჩიხებში გარე განათების 15 ერთეულის მოწყობის, ქ.ვანში თ.მეფის ქუჩაზე მდ.სულორზე ხიდის განათების მოწყობის, ქ.ვანში სანაპიროს ქუჩის პირველ ჩიხში გარე განათების 6 ერთეულის მოწყობის, ქ.ვანში გ.ტაბიძის ქუჩის შესახვევში (ჩაის ფაბრიკის უბანი) გარე განათების 15 ერთეულის მოწყობის, დიხაშხოს თემში მაღლაკელიძეების უბანში გარე განათების 12 ერთეულის მოწყობის, ყუმურის თემში მაისურის უბანში გარე განათების 5 ერთეულის მოწყობისა და ქ.ვანის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობა მხატვრული სანათებით, განათების მოწყობის (1 ბოძზე 3 სანათი) სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი სახით.

სამუშაოს შემსრულებელი:
შპს "ჯეო როუდი"

დირექტორი
ვალერი სამხარაძე

GEORGIA "GEO ROAD" LTD * 202254982 *

სამუშაო მიიღო:
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით
შესრულებული სამუშაოების და გაწეული
მომსახურების მიღების მიზნით
მოქმედი მუდმივმოქმედი კომისია

1. /ლ.გიორგაძე/
2. /მ.ტაბიძე/
3. /მ.ნამიჭეიშვილი/
4. /გ.ნამიჭეიშვილი/
5. /ბ.ახვლედიანი/
6. /თ.სოხანეიშვილი/
7. /ალ. ქაჯაია/
8. /დ.გოგორიშვილი/